



საქართველოს
პროკურატურა

ინტელექტუალური
საკუთრების
უფლებების
აღსრულება

პროკურორი

ცოტნე ცერცვაძე



რა თემებზე ვისაუბრებთ:

- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ საზოგადოებაში არსებული ინფორმაცია;
- გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპები;
- დაზარალებულის/ მისი წარმომადგენლის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში;
- სისხლის სამართლის საკანონმდებლო ბაზა;
- კონტრაფაქციული საქონლის/ნივთმტკიცების ბედის გადაწყვეტა შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას;
- სტატისტიკური მონაცემები/სასამართლო პრაქტიკის სიმწირე/ ევროპული სასამართლოს პრაქტიკა;





საზოგადოების ინფორმირებულობა/მკაცრი ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განსაზღვრა

- საჭიროა სახელმწიფო და კერძო სუბიექტების მხრიდან ფართო მასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიების განხორციელება;
- საქპატენტის როლი და ფუნქცია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში;
- შემოსავლების სამსახურის/საბაჟო დეპარტამენტის/საგამოძიებო სამსახურისა და პროკურატურის პროაქტიული მუშაობა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის წინააღმდეგ;
- კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობა





გამოძიების დაწყების საფუძვლები

შემოსავლების
სამსახურის/საბაჟო
დეპარტამენტის მომართვა

სასაქონლო ნიშნის
მფლობელის/წარმომადგენლის
მომართვა

ოპერატიული ინფორმაცია



რა მტკიცებულებები გვაქვს გამამტყუნებელი განაჩენისათვის?


• შემოსავლების სამსახურის მომართვა და მეზაჟე ოფიცრების გამოკითხვა;

დაზარალებულის გამოკითხვა და მისი მონაწილეობით ჩატარებული ექსპერტიზა;

• ამოღებული ნივთმტკიცება;

• განზრახვის (პირდაპირი/არაპირდაპირი) დამადასტურებელი მტკიცებულებები;
ნეიტრალური მტკიცებულებების არარსებობა


გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი;



საკანონმდებლო ბაზა საქართველოში



სსკ-ის 196-ე მუხლი
იმპორტი/ტრანზიტი




დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადება ან მათი **სხვაგვარი უკანონო გამოყენება**,

აგრეთვე, სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) საქონლის წარმოება ან **სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა**, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია

მოსალოდნელი ცვლილება



სსკ-ის 196-ე მუხლი
იმპორტი/ტრანზიტი



სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის, აგრეთვე სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) საქონლის უკანონო დამზადება, წარმოება, ან მათი საქართველოს საბაჟო საზღვარზე/ტერიტორიაზე გადატანა ან გადმოტანა, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა, ჩართვა ან მათი წესის დარღვევით სხვაგვარი გამოყენება.



ცვლილებების საჭიროება

სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლით (სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება) დასჯად ქმედებას წარმოადგენს სხვისი სასაქონლო ნიშნის დამზადება ან მათი სხვაგვარი უკანონო გამოყენება, წარმოება ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა, იმ შემთხვევაში როდესაც პირს საზღვარზე შემოაქვს ასეთი სახის საქონელი ხსენებული ტერმინები სრულყოფილად არ მოიცავს იმ ქმედებას რასაც ხსენებული პირი სჩადის, ამიტომ უმჯობესი იქნება თუ 196-ე მუხლის დისპოზიციას დაემატება „საქართველოს საბაჟო საზღვარზე/ტერიტორიაზე გადატანა ან გადმოტანა.“

სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის და შენიშვნის შინაარსის გადაღაგება გამოწვეულია იმით რომ სხვაგვარი უკანონო გამოყენება ორივე შემთხვევაში გვქონდეს ანუ აგრეთვეს შემდეგაც და ასევე ტავტოლოგია რომ არ ყოფილიყო. ასევე შენიშვნაში სრულყოფილად არ იყო მითითებული დისპოზიციაში მითითებული გარემოებები.

სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა.

ჩვენი ძირითადი მიზნები



ვუზრუნველყოთ პრევენცია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის

დავსახოთ სამოქმედო გეგმა

გამოვიყენოთ ევროპული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება და პრაქტიკა

დავხვეწოთ საკანონმდებლო ბაზა

გამოვიყენოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები



მადლობა ყურადღებისათვის

საქართველოს პროკურატურა

გორგასლის ქ. N 24

www.pog.gov.ge